საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 4 20 00327137

03/04/2020

„არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის N837/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2020 წლის 19 თებერვლის N213974 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების" მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის N837/ი ბრძანებაში და ბრძანების დანართით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტთა შერჩევის, სერტიფიცირების და სტატუსის შეწყვეტის წესის" მე-8 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 მუხლი:

„მუხლი 8^1. კონსულტანტთა შერჩევის მიზნით განაცხადის განხილვის საფასური

1. კონსულტანტთა შერჩევის მიზნით განაცხადის განხილვის საფასურის ოდენობა შეადგენს 682 ლარს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის ოდენობა მოიცავს შესაბამის ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ ადმინისტრაციულ (სახელფასო, საოფისე), ტრენინგის ჩატარებასთან და შესაბამისი მასალის მომზადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, დამატებული ღირებულების გადასახადს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი ცენტრის საკუთარი შემოსავლებიდან შესაბამისი ოდენობის თანხასა და შესაბამის საპენსიო შენატანს.

3. კონსულტანტის სტატუსის მოპოვების მსურველის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური გადაიხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ცენტრის საბანკო ანგარიშზე შეტანის გზით. კოსულტანტის სტატუსის მოპოვების მსურველმა საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ცენტრში უნდა წარმოადგინოს ტრენინგის გავლის ეტაპზე გადასვლის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კონსულტანტის სტატუსის მოპოვების მსურველი ვეღარ მიიღებს მონაწილეობას კონკურსის შემდეგ ეტაპებში.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ